შ.პ.ს. „თი აი ჯი გრუპი“

ქ.თბილისი, ქუჩა ხანძთელი N1 (ნაკვ. 003/005)

ს/კ 01.11.04.003.005

სასაწრობე შენობა

დემონტაჟის ორგანიზების პროექტი

დირექტორი : შ. ვეშაპიძე



თბილისი

2023 წ.

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

შემადგენლობა:

ა) განმარტებითი ბარათი;

1. შესავალი;

2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება;

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;

4.დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე;

5. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა;

6. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგითობა და ეტაპები;

7.უსაფრთხოების ტექნიკა;

8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია;

9.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი;

ბ) სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა. „მოპ-1“

გ) სამშენებლო მოედანზე სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და სპეც.ავტო-ტრანსპორტის გადადგილების გრაფიკული ნაწილი;

ა) განმარტებითი ბარათი

1.შესავალი

ქ.თბილისი, ხანძთელის ქ. N1-ში (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.04.003.005) მდებარე შენობის სადემონტაჟო სამუშაოები დემონტაჟის ორგანიზების პროექტი შესრულებულია შპს „თი აი ჯი გრუპი“-ს სპეციალისტების მიერ.

წინამდებარე „სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1. სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“
2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“
3. სნდაწ III-4-80- „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” -კრებული სამახსოვრო ქართულ ენაზე-მოქმედი სნ და წ ამონაკრები -საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა. თბილისი 1987 წ.
4. შ.ბაქანიძე, მ.ლორთქიფანიძე, - „ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე“ ქ.თბილისი
2006წ.
5. სნდაწ 3.01.01-85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“
6. სნდაწ 3.01.01-85* „ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაშში“
7. N361 27.05. 2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური ზედამხედველობის
შესახებ ტექნიიკური რეგლამენტი“
8.N477 27.10. 2017 წ. „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
9.საქართველოს _____მთავრობის დადგენილება N255 2019 წლის 31 მაისი ქ. თბილისი მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ;
10. სნდაწ 3.03.01-87 –„მზიდი და შემომფარგლავი კონსტრუქციები“

ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე სნდაწ 3.01.01-85*-ის „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“ მოთხოვნის თანახმად,

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე, აუცილებლად უნდა დამუშავდეს სამუშაოთა წარმოების პროექტი. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული სამუშაოთა წარმოების პროექტის გარეშე.
სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე დამკვეთმა აუცილებლად უნდა განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა.

2. სადემონტაჟო მოედნისა და სადემონტჟო ობიექტის დახასიათება

სადემონტაჟო ტერიტორია განთავსებულია ქ.თბილისი, ხანძთელის ქუჩა N1-ში (მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.11.04.003.005) და მოიცავს საკადასტრო საზღვრებში მოქცეული ორ სართულიანი სასაწყობე შენობის დემონტაჟს.
შენობა წარმოადგენს ორ სართულიან, მართკუთხა ფორმის ნაგებობას. რომლის პირველი სართული წარმოადგენს ნახევარსარდაფს, რომელშიც ჩასვლა ხდება გარედან. შენობის კონსტრუქციას წარმოადგენს რკინა-ბეტონით ანაკრებ სისტემას. კედლები შევსებულია აგურით და ბლოკით. სახურავი შეადგენს ხის და რკინის სანივნივე სისტემას და დახურულია თუნუქით.
სამუშაოები ითვალისწინებს მის სრულ დემონტაჟს და ტერიტორიის მოსუფთავებას.
ობიექტზე საინჟინრო კომუნიკაციების, ასევე სხვა რაიმე ქსელის არსებობის შემთხვევაში, დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებელია მათი ჩაჭრა საექსპლუატაციო ორგანიზაციების მეთვალყუროების ქვეშ, დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით, უსაფრთხოების წესების მაქსიმალური დაცვით.
სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, სადემონტაჟო ან სხვასაპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილიწესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და დამკვეთის მიერ.

3. სამშენებლო მოედნის ორგანიზება და მოსამზადებელი სამუშაოების აღწერა;

სამშენებლო მოედანზე მოწყობილია კაპიტალური (ბლოკის) ღობე, ამიტომ მოედანზე უცხო პირთა და იმ მუშა-პერონალის დაშვება, რომელიც არ არიან ჩართული სადემონტაჟო სამუშაოებში აკრძალულია, ამიტომ სადემონტაჟო სამუშაოების დროს შეზღუდვის სახით მოედნიდან 5 მეტრის რადიუსში მოეწყოს შეზღუდვა სასიგნალო ლენტების საშუალებთ, გაიკრას გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ბანერები.

4.დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მითითებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმართვაზე

მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს, რომლის შედგენაც უნდა მოხდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხვედველობის ქვეშ;

შემდეგ დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოების წარმოება, კერძოდ: განთავსდება მუშაპერსონალისა და სამუშაოთა მწარმოებლი დროებითი ნაგებობა, საინფორმაციო და გამაფრთხილებებლი ხასიათის ბანერები, არსებობის შემთხვევაში ჩაიჭრება ყველა საინჟინრო ქსელი შენობასთან მიმართებაში, რადგან ტერიტორია შემოღობილია, ის დამატებით სამშენებლო ღობის მოწყობას აღარ საჭიროებს. სადემონტაჟო შენობას ცალკე ჩამოეფარება ფარდა სპეციალურად მოწყობილ ხარაჩოზე, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა მიმდებარე ზონებშიში. ამასთან გაწმენდითი და სადემონტაჟო სამუშაოების პარალელურად ყველა სამუშაო უნდა დაინამოს მტვრის თავიდან აცილების მიზნით, უნდა განხორციელდეს შენობის დაცლა, დაგვა-გასუფთავება და გადაყრა;

დემონტაჟი უნდა დაიწყოს ეტაპობრივ რეჟიმში. პირველ რიგში იხსნება შენობის გადახურვა. შემდეგ უნდა მოიხსნას არამზიდი და მზიდი კონსტრუქციები ზემოდან ქვევით მიმართულებით მუშების სათანადო ინსტრუქტაჟით და მათი უზრუნველყოფით სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით.

5. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

სამუშაოების ხანგრძლივობისა და სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვის თავლსაზრისით ობიექტი - მოცულობითი და კონსტრუქციული გადაწყვეტითი სირთულის მიხედვით მარტივი კატეგორიისაა.

დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“; ასევე დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“; აღნიშნული ნორმების გათვალისწინებით ასევე რეალური სიტუაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა დემონტაჟის ხანგრძლივობა 3 თვის (12 კვირა)

პერიოდით. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს რბილმა და ზომიერმა კლიმატურმა პირობებმა.
კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა, მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით და დემონტაჟის პროცესში აღმოჩენილი სხვადასხვა გარემოებებით. ბოლო კვირებში განხორციელდება დემონტირებული მასალის საბოლოო გატანა მოედნიდან და ტერიტორიის გასუფთავება მომზადება ჩაბარებისათვის.

6.სადემონტაჟო სამუშაოების რიგობრიობა და ეტაპები

კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა.
დემონტაჟის განხორციელების გეგმიური ხანგრძლივობა **T**=3თვეს (12 კვირა)
სამშენებლო სამუშაოების პროცესის წარმოების რიგითობის მიხედვით სადემონტაჟო ობიექტზე განისაზღვრა შემდეგი სამშენებლო ეტაპები:
ვინაიდან გრუნტის ზედაპირის ცვლილებას სამუშაოები არ **ითვალისწინებს, I რიგის მოსამზადებელი სამუშაოები წარმოდგენილია ორ ეტაპით:**

ეტაპი N1 - სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შეზღუდვებისა და საინფორმაციო ბანერების მოწყობა ; (ვადა 10 დღე)

ეტაპი N2 - არსებული საინჟინრო-კომუნიკაციების ჩაჭრა, შენობის შეფუთვა (ვადა 5 დღე)
პირველი რიგის ორივე ეტაპზე - 15 დღე

II რიგის სამუშაოებისთვის გამოიყო სამი ეტაპი, რომლებშიც გაერთიანდა ყველა ძირითადი სამუშაოები:

ეტაპი N3 - თუნუქის სახურავის დემონტაჟი, ღიობების დემონტაჟი. (20 დღე)

ეტაპი N4 – კედლების დემონტჟი, ფილის დემონტაჟი; (40 დღე)

ეტაპი N5 --შენობის დარჩენილი არამზიდი ელემენტების დემონტაჟი; (5 დღე)

ეტაპი N6 - სამშენებლო ნარჩენების გატანა, ტერიტორიის სრული დასუფთავება; (10 დღე)
სულ დადგინდა ექვსი ერთეული ეტაპი სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით. იხ. მოპ-1. გრაფიკში ასევე მოცემულია კონკრეტული ეტაპის სამუშაოთა მიმდინარეობის დროს დასაქმებულ ადამიანთა რაოდენობა.

7.უსაფრთხოების ტექნიკა

1.უცხო პირთა, აგრეთვე სადემონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მომსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე დაუშვებელია.

2.მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის, სიმაღლეზე მუშაობის ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფის საკითხებზე, პერიოდულად უნდა ჩატარდეს გამოცდაც.

3.სამუშაოთა წარმოების უზრუნველყოფისათვის და ტექნოლოგიების უზრუნველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა - მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით

4.მომუშავეთა შორის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო _ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე, თანახმად სნ და წ III _ 4 _ 80 (უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში) და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

5.სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

6.ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) დღიური რაოდენობა სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიური რაოდენობის მოთხოვნილებების შესაბამისობას.

7.მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიურ პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

8.ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.0.13-88. ელექტრო კარადა უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტრო კაბელები, ელექტრო სადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

9.იკრძალება ვიბრატორის და სხვა ელექტრო მოწყობილობების ადგილიდან-ადგილზე გადატანა, მისი ელექტრო ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ხელსაწყოები სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

10.სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუგებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.
11.თელასის ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით, ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადდგურებიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენებით, საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება;
12.დაუშვებელია არაქარხნული ხელსაწყოების გამოყენება. ყველა დისკოიანი ელ.ხელსწყო აღჭურვილი უნდა იყოს გარსაცმით;
13. ავარიული სიტუაციისშემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის დროებითი გამაგრება. სადემონტაჟო ობიექტი უნდა იყოს განათებული ღამის საათებში.
14.ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა
მშენებლობაში“-ის მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.
15.სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა ელ.ქსელი და წყლის ქსელი უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის საზღვრები სადემონტაჟო შენობის კონტურიდან შეადგენს 3.0მეტრს.
16.სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა დემონტაჟის სახიფათო ზონებში და სადემონტაჟო მოედანზე.
17.ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით (უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელი; რეზინის ხელთათმანები,ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟოსამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების, რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.
18.აკრძალულია მანქანა-მექანიზმების მუშაობა უშუალოდ მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების ქვეშ. მოქმედი ელ.გადამცემი ხაზების სიახლოვეს მანქანა-მექანიზმების მუშაობა დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე.
19.სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის

ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე. ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ, გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს.

20.სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის და ობიექტზე დანიშნული უსაფრთხოების ინჟინრის მეთვალყურეობით. ნაგვის გატანა უნდა განხორციელდეს სპეციალური ავტოამწეების გამოყენებით და ავტოთვითმცლელებით; ზედმეტი ნაგვის დატვირთვა უნდა იწარმოოს გვერდითა ან უკანა მხრიდან.

8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ.

1.სამონტაჟო სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვით და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.

2.გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

3)დაუშვებელია არსებულ საკანცელიზაციო ჭებში ბეტონ-შემრევისა და ბეტონ-ტუმბოს მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით;

4)სადემონტაჟო სამუშაოების დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად გადმოყრა დაუშვებელია, სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

9.რეკომენდირებული მანქანა-მექანიზმების, სპეც.ავტო-ტრანსპორტისა და ხელსაწყოების უწყისი

დემონტაჟის უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

	დასახელება	მარკა	რაოდ.ცალი
1	თვითმცლელი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სხვადასხვა სამშენებლო მასალის/ნარჩენების გასატანად. ავტო-ამწე (24 მეტრიანი) მასალების ჩამოსატვირთად;		3 1
2	ჰერფერატორი		1
3	აირ შესადუღებელი აპარატი ელ.შესადუღებელი აპარატი	ჯომჰლ. კომჰლ.	1 1
4	მოძრავი ჰნევმატური ინსტრუმენტები: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა		2
5	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობაინსტრუმენტები;	ჯომჰლ	2

სამშენებლო სადემონტაჟო სამუშაოების წამოების კალენდარული გრაფიკი „მოპ-1“

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ.თბილისში, ხანძთელის ქ. N1-ში ს/კ 01.11.04.003.005 მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია სამშენებლო ნორმების და წესების მიხედვით.

აღნიშნული სამუშაოების მომზადება და შესრულებას საჭიროებს 3 თვის ვადას.

გარმოდგენილი გრაფიკი შედგენილია საქართველოს მთავრობის N255 31.05.2019 დადგენილების მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად.

სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკი

სამუშაოთა ჩამონათვალი	I თვე						II თვე						III თვე					
	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30	5	10	15	20	25	30
1 რიბის სამუშაოები																		
I ეტაპი სამშენებლო მოედნის მოწესრიგება/შეზღუდვებისა და საინფორმაციო ბანერების მოწყობა. (3 კაც. დღე)																		
II ეტაპი არსებული საინჟინრო-კომუნიკაციების ჩაჭრა, შენობის შეფუთვა. (4 კაც. დღე)																		
2 რიბის სამუშაოები																		
III ეტაპი თუნუქის სახურავის და მისი კონსტრუქციის დემონტაჟი, ღიობების დემონტაჟი. (5 კაც. დღე)																		
IV ეტაპი კედლების დემონტაჟი, ფილის დემონტაჟი. (7 კაც. დღე)																		
V ეტაპი შენობის დარჩენილი არამზიდი ელემენტების დემონტაჟი. (5 კაც. დღე)																		
VI ეტაპი ტერიტორიის მოსწორება, სამშენებლო ნარჩენების გატანა, ტერიტორიის სრული დასუფთავება. (5 კაც. დღე)																		



საექსპერტო ბიურო

(ი/მ - „ოთარ ბახტაძე“ კოდი: 0103007097 რეგისტ. №B1006816)

ქ.თბილისი, გ,ზაზიაშვილის ქ.№13ა, მობ: 599 33 23 79

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ჭუჩა ხანძთელი №1 (ს/კ 01.11.04.003.005)

სასაწყობე შენობის დემონტაჟის ორგანიზების პროექტზე

შესავალი

სასაწყობე შენობის ტექნიკური მონაცემები:

1. ერთ სართულიანი სარდაფით;
2. კედლები თეთრი სილიკატური აგურის წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე;
3. კედლების სისქე 600მმ;
4. სარდაფის გადახურვა მოწყობილია რკინაბეტონის ფილით;
5. ორქანობიანი ხის სახურავი დაფენილია თუნუკით;
6. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა ზომებით 9.20X35.9მ;
7. აშენების საერაუდო წლებია 60-70.

პროექტი შესრულებულია შპს „თი აი ჯი გრუპი”-ს მიერ. (დირექტორი – შ. ვეშაპიძე).

პროექტის შესწავლის ტექნიკური ბარათი

დემონტაჟის დაწყებამდე საწყისი სტადია ითვალისწინებს ყველა არსებული საინჟინრო კომუნიკაციების ჩაჭრას შესაბამისი სპეციალური ორგანიზაციების მეთვალყურეობით, უსაფრთხოების წესების დაცვით.

სამშენებლო მოედანი მოწყობილია არსებული შემოღობვითი კედლით წვრილი ბლოკებისაგან. პროექტი ითვალისწინებს საყარაულო ჯიხურის მოწყობას,



დაცვას უცხო პირებისაგან, ღამითი განათებას, დროებითი ნაგებობის მუშა პერსონალისა და მწარმოებლისათვის.

რაც შეეხება დაქირავებულ ხელოსნებს მას საგანგებოდ უნდათ გააცნონ უსაფრთხოების დაცვის წესები.

პროექტში გაწერილია სადემონტაჟო პროცესი, რომელიც გულისხმობს თანმიმდევრულ რიგითობას ზემოდან ქვემოთ, სახურავიდან საძირკვლამდე, რომელიც საბოლოოდ სრულდება ნაგვის გატანით და მოედნის დასუფთავებით.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმართვის თვალსაზრისით, გამომდინარე კონსტრუქციული გადაწყვეტიდან, ობიექტი განეკუთვნება მარტივ კატეგორიას.

სადემონტაჟო დრო განისაზღვრება სამი თვით, რაც ასახულია კალენდარულ გრაფიკში, რომელშიაც გათვალისწინებულია დემონტაჟის უწყვეტი ნაკადის მეთოდი, ანუ ამა თუ იმ პროცესის დასრულებისას ან ნაწილობრივ შესრულებისას თანმიმდევრულად გრძელდება მომდევნო სამუშაოების წარმოება, კერძოდ სახურავის დაშლის შემდეგ იწყება კედლის წყობის დაშლა და სხვა მიმდინარე სამუშაოები.

შრომის ხარჯები ათვლილია იმის გათვალისწინებით, თუ რა სირთულის სამუშაოები შესასრულებელია, რა რაოდენობის კაც/დღეები საჭიროა ყოველი მომდევნო სამუშაოების დასრულებისათვის.

დასკვნა

პროექტი შესრულებულია კარგ დონეზე, მასში დეტალურად და თანმიმდევრულად ასახულია ყველა საჭირო სახის სადემონტაჟო სამუშაოები, მანქანა-მექანიზმები, ხელსაწყოებები.

პროექტს შედგენისას გამოკვეთილად ჩანს, რომ ავტორი ხელმძღვანელობდა მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით, კერძოდ 12.1.0.13-88 ელექტრო უსაფრთხოების წესები; 3.01.01-85 ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში და სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია.

ექსპერტი /ო. ბახტაძე/



31.10.2023წ

შემოთავაზებული კვალიფიციური თანამშრომლის ავტობიოგრაფია

შემოთავაზებული თანამდებობა: პროექტის მთავარი კონსტრუქტორი

ფირმის სახელი: შპს „თბილწნიიეპი"

თანამშრომლის სახელი: ოთარ ბახტაძე

პროფესია: ინჟინერ-მშენებელი

დაბადების თარიღი: 17.08.1943 წ.

ეროვნება: ქართველი

მოქალაქის პირადობის მოწმობა: № 01030007097

დაკისრებული მოვალეობის აღწერა: მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და აღდგენა-გაძლიერების პროექტების შედგენა.

ძირითადი კვალიფიკაციები:

მისი ხელმძღვანელობით, როგორც პროექტის მთავარი კონსტრუქტორის, განხორციელებულია აღდგენა-გაძლიერების საპროექტო სამუშაოები შემდეგი ობიექტების:

- მოსკოვის ქარხნის (აზლკ) ასაწყობი საამქროს კორპუსი (1984 წ).
- მოსკოვის ლეონმიციტინის წარმოების (აკრიხინი) საწარმოო კორპუსი (1985 წ).
- კაზრეთის რეზერვუარები (2500 მ³ და 3000 მ³).
- რაჭა-იმერეთის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, კერძოდ: ზოდის, წირქვალის, პერევისას საშ. სკოლები; ქ. ჭიათურის რკინაბეტონის, მექანიკური და პურის საცხობი ქარხნები; 5 და 9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები.
- 2002 წლის 25 აპრილის მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ობიექტები, კერძოდ: „ " ბანკის ცენტრალური ოფისის შენობა (თამარ მეფის გამზ. № 18); „ანალიმხელსაწყოს", „თბილხელსაწყოს", „ეიტსკის" ადმინისტრაციული შენობები; სასტუმრო „კოლხეთი"; ქ. თბილისის № 83 საშ. სკოლა, საჩხერის რ-ის ჭალაუბნის საშ. სკოლა, კორბოულის ადმინისტრაციული კორპუსი და სხვა.



განათლება:

- უმაღლესი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1960-1966 წწ), სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (დიპლომი: У № 002227 21.12.66).
- ქ. მოსკოვის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი (1970-1973 წწ) ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (დიპლომი: МТН № 095444 26.04.74) დისერტაციის თემას წარმოადგენდა „კონსტრუქციული ელემენტების მყიფე ხარეების გაანგარიშების კვლევა კარკასული შენობების სეისმომედეგობაზე".

სამუშაო გამოცდილება:

2006 წ.	–	შ.პ.ს. „თბილმნიიეპის" ახალი ტექნიკის და სამეცნიერო მიღწევების დანერგვის სექტორის გამგე.
2001-2006 წწ.	–	შ.პ.ს. „კონექსის" აღდგენა-გაძლიერებითი საპროექტო სამუშაოების მთავარი კონსტრუქტორი.
30.06.2002 წ	–	საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს საკოორდინაციო საბჭოს ექსპერტი (ბრძანება № 30.06.02).
1990-2003 წწ.	–	„თბილმნიიეპი", ახალი ტექნიკის და სამეცნიერო მიღწევების დანერგვის სექტორის ხელმძღ.
1974-1990 წწ.	–	უფროსი მეცნიერთანამშრომელი ტ.მ.კ. („თბილმნიიეპი").
1970-1973 წწ.	–	ქ. მოსკოვის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ცნიისკ) ასპირანტი.
1967-1970 წწ.	–	უმცროსი მეცნიერთანამშრომელი („თბილმნიიეპი").
1966-1967 წწ.	–	მეტალურგიის ინსტიტუტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ინჟინერი.



ენები: ქართული, რუსული – თავისუფლად.

საცხოვრებელი სახლების აღდგენა-გაძლიერების პროექტები შემდეგ მისამართებზე (2011-2016წწ):

1. მოსკოვის გამზირი №11
2. ვაზისუბნის II მ/რ XI კორპუსი
3. ჯავახეთის ქ. კორპ.№3
4. ყვარლის ქ.№107ბ; ყვარლის ქ.№92
5. ვარკეთის III მასივი, მე-8 კვარტ. კორპ. №6
6. ჩიტაის ქ.№13/2
7. ართვინის №8
8. ქეთევან წამებულის გამზ.№29
9. სოფ. წინუბანი, მშვიდობის ქ.№8
10. ჰოსპიტლის შესახვევი №2
11. თევდორე მღვდლის ჩიხი №5
12. ფალავას ქ.№23, ფალავას ქ.№30
13. ორხევის დასახლება, მერაბ კოსტავას №5
14. ირბახის №15
15. ვარკეთილი IV მ/რ, III კვარტალი
16. ამირაჯიბის ქ.№22ა, №24, №24ა
17. უშაკოვის ქ.№8, №4, №2
18. ყვარლის ქ.№90
19. რატილის ქ.№20, №22, №18
20. გორის ქ.№10
21. ქუთაისის ქ.№22
22. ჭონქაძისა და ბებუთის კუთხე №10
23. ლიახვის ქ.№23
24. როსტოვის ქ.№10
25: წულუკიძის ქ.№28, №29, №35
26. მესხეთის ქ.№153
27. გოგი დოლიძის ქ.№25
28. იოსელიანის ქ.№36 (რეკონსტრუქციის პროექტი)
29. თვალჭრელიძის ქ. მე-3 შესახვევი №3
31. მთავარანგელოზის ნ15/2
30. არაგვისპირელის №15 (ლიტ. ა და ბ)
32. ბექა ოპიზრის №5
33. გორკის ქ. №37/2
34. საქქიმოს გასასვლელი №2
35. ვარკეთილი IV, მე-3 კვარტ. 164 ბაგა-ბაღი (კორპ. 10)
36. დაბა წყნეთი „ა" ზონა, შეროვასიძის შესახვევი, აგარაკი №14.

ი/მ ოთარ ბახტაძე
საექსპერტო ბიურო
P/E 01030007097 OTAR BAKHTADZE

ახალი შენობა - ნაგებობების პროექტები

1. ისანი-სამგორის რაიონში ქინძმარაულის N2-ში, კორპ.12 ლოჯიის მიშენების პროექტი;
2. ხეხილ-სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვის დასახლება) 3 სართულიანი შენობის პროექტი;
3. კრწანისის N3-ში (ნაკვეთი 6/46) სახლის რეკონსტრუქცია;
4. სასაწყობო შენობის პროექტი ლითონის კონსტრუქციებში;
5. შინდისის N2-ში, ჩიხი N3 სახლის მიმდებარე ფართობზე 6 მეტრიანი საყრდენი კედლის კონსტრუქციული პროექტი;
6. ხეხილ-სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვის დასახლება) 300 მ³ -ში ტევადობის რეზერვუარის პროექტი;
7. იოსელიანის N36-ში საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქცია;
8. თბილისი, კაკაბაძის შეს, N3-ში 2 სართულიანი შენობა-დაშენების კონსტრუქციული პროექტი 2019 წელი;
9. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N201-ში საცხოვრებელი სახლის პირველ მაღალ სართულში ანტრესოლის მოწყობის პროექტი 2019 წ.;
10. საგურამოში საცხოვრებელი სახლის პროექტის ნაწილი 2019 წ.;
11. საწარმოო შენობის (სახანძრო მანქანების დეპო) კონსტრუქციული პროექტი. დამკვეთი: ბაქო-თბილისი- ჯეიხანის მილსადენი კომპანია 2019 წ.;
12. სოფ. ფონიჭალა, საგამოფენო დარბაზის პროექტის კონსტრიქციული ნაწილი 2020 წ.





დიპლომი

У № 002227

ეს დიპლომი მიეცა ოთარ
იაკობის-ძე ბახტაძეს
მასზე, რომ იგი 1960 წელს შევიდა ვ. ი. ლენინის
სახ. საქ. შრომის წითელი დროშის
ორდენოსან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1966 წელს დაამთავრა აღნიშნული
ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით „სამრეწველო
და სამოქალაქო მშენებლობა"

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1966 წ.
„24" თებერვლის გადაწყვეტილებით
ო. ი. ბახტაძეს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1966 წ. [illegible]

სარეგისტრაციო № 12299

Грузинский яз.

ДИПЛОМ

У № 002227

Настоящий диплом выдан Бахтадзе
Отари Якоблевичу
в том, что он в 1960 году поступил
в Груз. ордена Трудового Красного Знамени
политехнический институт им. В. И. Ленина
и в 1966 году окончил полный курс
названного
института
по специальности „Промышленное и
гражданское строительство"

Решением Государственной экзаменационной
комиссии от [illegible] февраля 1966 г.
О. Я.
присвоена квалификация инженера-
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город [illegible] „[illegible]" 1966 г.

Регистрационный № 12299

Московская типография Гознака. 1963.